

საქართველოს მთავრობის კონსტიტუციური სტატუსი და წარმომადგენლობა საგარეო ურთიერთობებში

სოფიო დემეტრაშვილი

სამართლის დოქტორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი, სსიპ „იუსტიციის სახლის“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
საქართველო, თბილისი
ელ.ფოსტა: sdemetrashvili@psh.gov.ge

ვახტანგ ჟვანია

სამართლის დოქტორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი, სსიპ „იუსტიციის სახლის“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
საქართველო, თბილისი
ელ. ფოსტა: vazhvania@psh.gov.ge

აბსტრაქტი

აღმასრულებელი ხელისუფლების სტატუსი და ძალაუფლება რესპუბლიკურ სისტემაში განისაზღვრება სახელმწიფო მმართველობის ფორმის მიხედვით. შესაბამისად, პრემიერ-მინისტრის როლიც განსხვავებულია. საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულია საპარლამენტო დემოკრატიისთვის დამახასიათებელი მთავრობის ფორმირების, საქმიანობისა და უფლებამოსილების შეწყვეტის კაბინეტური პრინციპი, რომელიც გულისხმობს პარლამენტის მიერ მთავრობის ერთიანად ფორმირებას და თავის მხრივ, მთავრობის პარლამენტის წინაშე ერთიან პასუხისმგებლობას. შესაბამისად, არ არის გათვალისწინებული ცალკეული მინისტრის პასუხისმგებლობისა და გადაყენების პროცედურა, რომელიც ემსახურება მთავრობის სტაბილურობის უზრუნველყოფას.

საქართველოს მთავრობა წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მისი უფლებამოსილება სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების სფეროში არის უნივერსალური, რადგან მის გამგებლობაში შედის აღმასრულებელი უფლებამოსილებების სრული სპექტრი, როგორებიცაა: საგარეო ურთიერთობები, სახელმწიფო ფინანსები, სახელმწიფო უსაფრთხოება, თავდაცვა, ეკონომიკა, გარემოს დაცვა, რეგიონული

განვითარება, განათლება, კულტურა, ჯანდაცვა და სხვა.

წინამდებარე კვლევა ორიენტირებულია წარმოაჩინოს მმართველობის მოდელების თავისებურებანი, საკონსტიტუციო ნორმების ინტერპრეტაციის ფარგლები და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული გამოწვევების არსი. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულ იქნა კვლევის ზოგადმეცნიერული მეთოდები, მათ შორის უნდა გამოიყოს ლოგიკური აზროვნების, სისტემური შემთხვევის ანალიზის, შედარებით-სამართლებრივი, აღწერილობითი, ისტორიული და ნორმატიული კვლევის მეთოდები.

და ბოლოს, სტატიაში შეფასებულია ხელისუფლების სამწვეროვანი დაყოფისა და მმართველობის მოდელით დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტი აღმასრულებელი ხელისუფლების სტატუსთან და საგარეო წარმომადგენლობის უფლებამოსილების ფარგლებთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს კონსტიტუცია, მმართველობის სისტემა, საერთაშორისო წარმომადგენლობა, აღმასრულებელი ხელისუფლება

CONSTITUTIONAL STATUS AND REPRESENTATION OF THE GOVERNMENT OF GEORGIA IN FOREIGN RELATIONS

Sophio Demetrashvili

Doctor of Law, Doctor of Political Sciences, Associate Professor at law Caucasus International University, Visiting Professor at Georgian Technical University, Head of the Legal Department of the LEPL "House of Justice", Georgia, Tbilisi

Email: sdemetrashvili@psh.gov.ge

Vakhtang Zhvania

Doctor of Law, Doctor of Political Sciences, Associate Professor at Caucasus International University, Visiting Professor at Georgian Technical University, Head of the Legal Department of the LEPL "House of Justice" Georgia, Tbilisi

Email: vazhvania@psh.gov.ge

ABSTRACT

The status and power of the executive branch in a republican system are determined by the form of State governance. Accordingly, the role of the Prime Minister is also different. The Constitution of Georgia reinforces the cabinet principle of government formation, activity and termination of powers, characteristic of parliamentary democracy, which implies the unified formation of the government by the Parliament and, in turn, the unified responsibility of the government before the Parliament. Accordingly, the procedure for the responsibility and dismissal of individual ministers is not provided for, which serves to ensure the stability of the government.

The Government of Georgia is the highest body of the executive branch, which implements the country's domestic and foreign policy. Its authority in the field of implementing State policy is universal, since its jurisdiction includes the full range of executive powers, such as foreign relations, State finances, State security, defense, economy, environmental protection, regional development, education, culture, health-care, and others.

Present study is oriented to demonstrate the peculiarities of governance models, the scope of interpretation of constitutional norms and the essence of the challenges related to the latter. The dissertation work used general scientific research methods, among which logical thinking, systemic, case analysis, comparative-legal, descriptive, historical and normative research methods should be distinguished.

Finally, the article evaluates the constitutional standard established by the three-pronged division of power and the governance model in relation to the status of the executive branch and the scope of authority of foreign representation.

KEYWORDS: Constitution of Georgia, System of Governance, International Representation, Executive Branch

შესავალი

აღმასრულებელი ხელისუფლების სამართლებრივ სტატუსს განაპირობებს შესაბამისი მმართველობის სისტემის თავისებურებანი, რომელიც ყოველი სახელმწიფოს ეროვნული და სამართლებრივი სივრცის მიხედვით განსხვავდება. მიუხედავად მითითებული დიფერენცირებებისა, საკონსტიტუციო სამართლებრივი დოქტრინა, გარკვეული მახასიათებლების საფუძველზე, ახდენს სახელმწიფო მმართველობის ფორმების კლასიფიკაციას. თავის მხრივ, სახელმწიფო მმართველობის სისტემა მოიცავს კონსტიტუციით განსაზღვრულ სახელმწიფო ინსტიტუციათა ერთობლიობას, რომელთა ფუნქციებიც სახელისუფლებო ძალაუფლების ინსტიტუციურ სახესა და შესაბამის პოლიტიკურ წესრიგს განაპირობებს.

საკონსტიტუციო სამართლებრივი გაგებით, სახელმწიფო მმართველობის სისტემა დაკავშირებულია სახელმწიფო მმართველობის ფორმებად კლასიფიკაციის კონკრეტულ ტიპოლოგიასთან, რომლის ფარგლებშიც, მთავრობა წარმოადგენს კონსტიტუციით რეგლამენტირებულ საკონსტიტუციო ორგანოს და მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციებსა და ინსტიტუციურ რესურსს მოიაზრებს. აღმასრულებელ ხელისუფლებაში მთავრობის ინსტიტუციონალიზაციის სამი მოდელი არსებობს: საპრეზიდენტო¹, ბიცეფალური² და კაბინეტური³.

საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობის ფორმები განაპირობებს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილებათა არსენალს და შესაბამისად, მთავრობის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, ძალაუფლების ხარისხს. საპრეზიდენტო და ჰიბრიდული მმართველობის სისტემისგან განსხვავებით, საპარლამენტო უმრავლესობის პოლიტიკურ ნებას ეფუძნება სამთავრობო პოლიტიკა, საპარლამენტო მმართველობის სისტემაში, სადაც სამთავრობო კაბინეტის ფორმირება დამოკიდებულია საპარლამენტო უმრავლესობის ნდობაზე. მმართველობის ფორმის მიხედვით განსხვავდება ასევე პრემიერ-მინისტრის როლი.⁴

სახელმწიფოში განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ, წინამდებარე კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია და მიემართება მთავრობის კონსტიტუციურ სტატუსს და მის უფლებამოსილებას საგარეო ურთიერთობების წარმომადგენლობასთან დაკავშირებით.

კვლევის მიზანია დაადგინოს კონსტიტუციური არქიტექტონიკით განსაზღვრული აღმასრულებელი ხელისუფლების სტატუსი და მისი უფლებამოსილების ფარგლები საგარეო წარმომადგენლობასთან დაკავშირებით, ხოლო კვლევის ამოცანაა, განავითაროს მსჯელობა და დასვას მახვილი იმ სახელისუფლებო ვერტიკალის ზღვართან მიმართებით, რომელსაც საქართველოს მთავრობა წარმოადგენს.

¹ მთავრობა პრეზიდენტის დაქვემდებარებული ორგანოა (მაგ. აშშ).

² მთავრობა აღმასრულებელ ძალაუფლებას ახორციელებს პრეზიდენტთან ერთად (მაგ. საფრანგეთი).

³ აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არის მთავრობა, ხოლო პრეზიდენტს ან მონარქს მხოლოდ სახელმწიფო მეთაურის ფუნქციები გააჩნია (მაგ. გაერთიანებული სამეფო).

⁴ საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ან საერთოდ არ არსებობს ან მხოლოდ პრეზიდენტის ე.წ. „მარჯვენა ხელის“ ფუნქციას ასრულებს; ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკაში, პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტთან ერთად, სახელმწიფოს პოლიტიკური ლიდერია, ხოლო, საპარლამენტო რესპუბლიკაში პრემიერ-მინისტრი არის ქვეყნის ერთპიროვნული პოლიტიკური ლიდერი.

1. საქართველოს მთავრობის სტატუსის რეიტინგ-კვლევა

1918 წლის 26 მაისს მიღებული „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით“ სახელმწიფომ დაიწყო არსებობა, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ და ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში 1921 წლის 21 თებერვლას მიიღო პირველი კონსტიტუცია,⁵ რომელმაც საპარლამენტო მმართველობაზე ორიენტირებული რესპუბლიკის მოდელით გახსნა ქართული კონსტიტუციონალიზმის ფურცელი.⁶ საპარლამენტო მოდელზე ორიენტირებული რესპუბლიკური მმართველობა არ ითვალისწინებდა სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობას, რომელიც გამყარებული იყო კონსტიტუციური დებულებებით, რომლის შესაბამისადაც, მთავრობის თავმჯდომარეს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა ენიჭებოდა, ისევე, როგორც განსაკუთრებული უფლებამოსილებები საგარეო ურთიერთობებში.⁷

„კონსტიტუციამ უარი თქვა რესპუბლიკური მოდელის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტზე, როგორიც არის არჩევითი სახელმწიფოს მეთაური - პრეზიდენტი“.⁸ ხოლო მთავრობის ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში, კონსტიტუციის

დამფუძნებელი მამების მიერ, არსებითი განხილვის საგანს წარმოადგენდა. 1921 წლის კონსტიტუცია აღმასრულებელ ხელისუფლებას აფუძნებდა „მთავრობის პასუხისმგებლობისა და მორჩილების პრინციპზე“, რაც საპარლამენტო სისტემისთვის არის დამახასიათებელი.⁹ რესპუბლიკის მთავრობა, როგორც უმაღლესი ხელისუფლება, კოლეგიას წარმოადგენდა, რომელიც პარლამენტის წინაშე იყო პასუხისმგებელი.¹⁰

მთავრობის თავმჯდომარე ერთი წლის ვადით აირჩეოდა, ზედიზედ მხოლოდ ორჯერ შეიძლებოდა ყოფილიყო არჩეული, ხოლო მთავრობის დანარჩენ წევრებს - მინისტრებს - მთავრობის თავმჯდომარე ნიშნავდა გარესაპარლამენტო გზით, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე მოქალაქეთაგან.¹¹ აღმასრულებელ ხელისუფლებას ეძღვნებოდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეხუთე თავი, რომელიც მთავრობის უფლებამოსილებებს ითვალისწინებდა საგარეო ურთიერთობათა სფეროში. კერძოდ, რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი იყო მთავრობის თავმჯდომარე, რომელიც ელჩებს ნიშნავდა სხვა სახელმწიფოებში, ხოლო რესპუბლიკის საგარეო ინტერესების დაცვა მთავრობის საერთო უფლებასა

⁵ საქართველოს კონსტიტუცია, 21/02/1921. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0>> [წვდომის თარიღი 20.05.2025].

⁶ შეადარე. კვერენჩილაძე, გ., 2011. აღმასრულებელი ხელისუფლება და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი. გვ. 166.

⁷ შეადარე. ცნობილაძე, პ., 2004. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. ტომი I. გვ. 396.

⁸ გონაშვილი, ვ., 2017. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. გვ. 113.

⁹ შეადარე. მაცაბერიძე, მ., 2011. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი. გვ. 168.

¹⁰ შეადარე. პაპუაშვილი, გ., 2013. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია. მე-2 გამოცემა. გვ. 23-24.

¹¹ შეადარე. კაველიძე, თ., 2022. სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის კონსტიტუციური სტატუსი საგარეო ურთიერთობათა სფეროში საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციისა და „გარდამავალი პერიოდის“ კვალდაკვალ. გვ. 43-44.

და მოვალეობას წარმოადგენდა. პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით, „უმაღლესი მმართველობის აღმასრულებელ ხელისუფლებაში“ მთავრობა იგულისხმებოდა, მთავრობის თავმჯდომარე კი ფაქტობრივად სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციას ითავსებდა.¹²

საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნები 1990 წლის 28 ოქტომბერს გაიმართა, რასაც 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების მიხედვით, მოჰყვა 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოცხადება.¹³ 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა დადგენილება, რომლითაც ქვეყნის სუვერენიტეტის, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილების სრულყოფის, მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და უშიშროების განმტკიცების მიზნით, პრეზიდენტის თანამდებობა დაწესდა.¹⁴ სამთავრობო ინსტიტუტის თვალსაზრისით, არსებითი რეფორმები არ განხორციელებულა. 1991 წლის 28 თებერვალს უზენაესი საბჭოს მიერ განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებებით განისაზღვრა მთავრობის საკონსტიტუციო სტატუსი და შემადგენლობა.¹⁵

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დეკლარირდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს

აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოდ,¹⁶ რომელიც ექვემდებარებოდა პრეზიდენტს.¹⁷ სახელმწიფო მეთაური წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს თანამდებობის პირს, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფოს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ურთიერთობებში. 1992 წლის 6 ნოემბერს მიღებული „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რომელიც „მცირე კონსტიტუციად“ არის წოდებული, რადგან ასრულებდა ქვეყნის ძირითადი კანონის ფუნქციას 1995 წლამდე, სახელმწიფოს მეთაური უზრუნველყოფდა ქვეყნის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, სახელმწიფო ორგანოების ურთიერთშეთანხმებულ საქმიანობას.¹⁸ მითითებული კანონის მეხუთე თავის მიხედვით, სახელმწიფოში აღმასრულებელ ხელისუფლებას მინისტრთა კაბინეტი ახორციელებდა, რომელიც სახელმწიფოს მეთაურისა და პარლამენტის წინაშე იყო ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი.

დამოუკიდებლობა აღდგენილ საქართველოში 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული პირველი კონსტიტუციის პირვალდელი რედაქციის 69-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი იყო „საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მე-

¹² შეადარე. დემეტრაშვილი, ა., 2011. საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია 2011 წლის გადასახედიდან, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი. გვ. 15-16.

¹³ შეადარე. თევდორაშვილი, გ., 2017. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. გვ. 352.

¹⁴ შეადარე. ქანთარია, ბ., 2017. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, გვ. 352.

¹⁵ შეადარე. კაველიძე, თ., 2022. სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის კონსტიტუციური სტატუსი საგარეო ურთიერთობათა სფეროში საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციისა და „გარდამავალი პერიოდის“ კვალდაკვალ. გვ. 48.

¹⁶ შეადარე. ქანთარია, ბ., 2014. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. მეორე გამოცემა, თბილისი: გვ. 62.

¹⁷ შეადარე. თევდორაშვილი, გ., 2017. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. გვ. 355.

¹⁸ შეადარე. მუხლი 17, საქართველოს კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1, 30/11/1992 (ძალადაკარგულია).

თაური¹⁹. კონსტიტუციის თანახმად, საქართველო ჩამოყალიბდა საპრეზიდენტო რესპუბლიკად, სადაც მთავრობა მხოლოდ პრეზიდენტის სათაბირო ორგანოს ფუნქციით სარგებლობდა და დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს ვერ იღებდა.²⁰ გაუქმდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. მინისტრებს საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით ნიშნავდა.²¹ ხოლო პრეზიდენტი „წარმართავდა და ახორციელებდა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად უზრუნველყოფდა ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას. პრეზიდენტი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელი იყო საგარეო ურთიერთობებში“.²²

მთავრობა არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ ორგანოს საპრეზიდენტო რესპუბლიკის კონცეფციის შესაბამისად. მთავრობის შესახებ ცალკე თავის არსებობას კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა, ეს უკანასკნელი გაჩნდა საქართველოს ძირითად კანონში მხოლოდ 2004 წლის კონსტიტუციური რეფორმის შედეგად.²³ ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი, ახალმა ხელისუფლებამ 1995 წლის კონსტიტუცია ფუნდამენტურად გადასინჯა, რომლის შედეგადაც, ნახევრად საპრეზიდენტო - ფორმალურად, ფაქტობრივად კი, ე.წ. სუპერსაპრეზიდენტო მმართველობის სისტემა დადგინდა. მიუხედავად იმისა, რომ გაიმიჯნა აღმასრულებელი ხელისუფლება

მთავრობასა და პრეზიდენტს შორის, ამ უკანასკნელს ნებისმიერ დროს შეეძლო მთავრობის გადაყენება. მეტიც, პრეზიდენტს, ერთპიროვნულად, პარლამენტის თანხმობის გარეშე შეეძლო მინისტრთა კაბინეტის ფორმირებაც, რომლითაც უკიდურესად იყო პარლამენტის როლი დასუსტებული სახელმწიფო მმართველობის სისტემაში.

2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით ჩამოყალიბებული მმართველობის მოდელი, რომელიც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამოქმედდა, პარლამენტის სუსტ პოზიციებს ასახავდა, უკიდურესად იყო გართულებული მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების პროცედურა, რომელიც, თავის მხრივ, პრემიერ-მინისტრის ხელშეუხებლობის შეუსაბამოდ მაღალ გარანტიებს ადგენდა.²⁴

2018 წლის 16 დეკემბერს ამოქმედდა საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებასთან ერთად, რომელიც 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის საფუძველზე შემუშავდა. „შედეგად, ჩამოყალიბდა დახვეწილი საპარლამენტო მმართველობის სისტემა, გაძლიერდა პარლამენტის საზედამხებველო ფუნქციები, გარდამავალი დებულებით გამყარდა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსი და სხვა.“²⁵ საქართველოს მთავრობა წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, რომელიც

¹⁹ მუხლი 69, საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს პარლამენტის უწყებები, 24/08/1995, #786.

²⁰ შეადარე. კობახიძე, ი., 2019. კონსტიტუციური სამართალი. თბილისი: გვ. 28.

²¹ შეადარე. იქვე, 29.

²² იქვე, 30.

²³ შეადარე. თევდორაშვილი, გ., 2021. რესპუბლიკის ორგანული ფორმის ძიებაში - ასი წელი პირველი ქართული კონსტიტუციის მიღებიდან. გვ. 3-4.

²⁴ შეადარე. დემეტრაშვილი, ს. და ღუდუშაური, ა., 2024. საქართველოს სახელმწიფო მოწყობის პოლიტიკური დეტერმინანტა. გვ. 14.

²⁵ კობახიძე, ი., 2019. კონსტიტუციური სამართალი. თბილისი: გვ. 31.

ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას.²⁶ საქართველოს მთავრობის უფლებამოსილება ქვეყნის პოლიტიკის განხორციელების სფეროში უნივერსალურია. მთავრობის გამგებლობაში შედის აღმასრულებელი უფლებამოსილებების ძალიან ფართო, სრული სპექტრი, მათ შორის, საგარეო ურთიერთობები.²⁷

2. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსენალი საგარეო ურთიერთობებში

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმახორციელებელ ერთადერთ ორგანოდ საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია საქართველოს მთავრობას განსაზღვრავს. საქართველოს პრეზიდენტის სტატუსის დამდგენ კონსტიტუციის 49-ე მუხლის მესამე პუნქტში მიეთითა, რომ „საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში“.²⁸ აღნიშნული ჩანაწერით დეკლარირებულია საქართველოს პრეზიდენტის არა უფლებამოსილება, არამედ სტატუსი. საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუ-

ხლის პირველი პუნქტი საქართველოს მთავრობას ანიჭებს აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას,²⁹ რომელსაც ადასტურებს საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიც,³⁰ რომლის მიხედვითაც, საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების განხორციელება, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების წარმოება საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით შეუძლია.³¹ ამასთან, „საქართველოს პრეზიდენტს, ისევე როგორც ყველა სხვა კონსტიტუციურ ორგანოს, საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით გათვალისწინებული საგარეოპოლიტიკური ამოცანების შესრულებაში მონაწილეობაც მხოლოდ საკუთარი (თავისი) უფლებამოსილების ფარგლებში, მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით შეუძლია“.³²

აბსოლუტური სიცხადით არის გამიჯნული საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის კომპეტენციები საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების განხორციელებისა და საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოების საკითხებში. აღნიშნულთან მიმართებით საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერები

²⁶ შეადარე. პუნქტი 1, მუხლი 54, საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს პარლამენტის უწყებები, 24/08/1995, #786.

²⁷ შეადარე. კობახიძე, ი., 2019. კონსტიტუციური სამართალი. თბილისი: გვ. 205-207.

²⁸ შეადარე. პუნქტი 3, მუხლი 49, საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს პარლამენტის უწყებები, 24/08/1995, #786.

²⁹ შეადარე. იქვე, პუნქტი 1, მუხლი 54.

³⁰ შეადარე. იქვე, ქვეპუნქტი ა, პუნქტი 1, მუხლი 52.

³¹ შეადარე. საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) 2023 წლის 16 ოქტომბრის #3/1/1797 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევის საკითხზე.

³² იქვე, მუხლი 78.

არ იძლევა ორაზროვანი განმარტების შესაძლებლობას. კერძოდ, კონსტიტუცია ამბობს, რომ „საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს მთავრობის თანხმობა არა მხოლოდ საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოებისა და საერთაშორისო ხელშეკრულების დადებისთვის ესაჭიროება, არამედ ნებისმიერი ფორმით საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისათვის.“³³

საქართველოს პრეზიდენტს აღარ აქვს დამოუკიდებლად, ერთპიროვნულად, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვისა და განხორციელების უფლება. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს ადგენს საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, ხოლო პრეზიდენტის სტატუსი განსაზღვრულია კონსტიტუციის 49-ე მუხლით, რომელშიც ცალსახად არ არის ნაგულისხმები რაიმე უფლებამოსილებები. პრეზიდენტისთვის სახელმწიფოს მეთაურის სტატუსი სახელმწიფოს მართვის უფლებამოსილებას არ ნიშნავს, ისევე, როგორც „საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში“. საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი სტატუსის მესამე კომპონენტი არ გულისხმობს პრეზიდენტის რაიმე სახის კომპეტენციას, რომ თვითინიციატივით იმოქმედოს, უგულებელყოს საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დანაწესი და წარმოადგინოს საქართველო საგარეო

ურთიერთობებში საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე. ასევე, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციით დეკლარირებულია პრეზიდენტის უმაღლესი მთავარსარდლის სტატუსი, რომელიც, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს, რომ საქართველოს თავდაცვის ძალები ექვემდებარება საქართველოს პრეზიდენტს და სხვა. ამასთან, არც საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით არის წარმომადგენელი საგარეოპოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროში დამატებითი რაიმე უფლებამოსილება პრეზიდენტისთვის, ვინაიდან ეს უკანასკნელი შესაბამისი ზომების მიღებას ავალდებულებს კონსტიტუციურ ორგანოებს მხოლოდ „საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში“ ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის მიზნით.³⁴ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტის საგარეოპოლიტიკურ უფლებამოსილებებთან დაკავშირებით კონსტიტუციის ტექსტმა კიდევ უფრო მეტი კონკრეტიზაცია განიცადა. კერძოდ, დეკლარირდა „მთავრობის თანხმობით“ უფლებამოსილების განხორციელება, ნაცვლად „მთავრობასთან შეთანხმებით“ ჩანაწერისა, რომელიც ინტერპრეტაციის შესაძლებლობას აღარ იძლევა და წარმოადგენს მკაფიო ჩანაწერს. აღნიშნული ცხადყოფს, რომ საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების განსახორციელებლად მთავრობის შესაბამისი თანხმობა³⁵ პრეზიდენტს ყოველთვის ესაჭიროება.

³³ საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) 2023 წლის 16 ოქტომბრის #3/1/1797 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევის საკითხზე.

³⁴ შეადარე. იქვე.

³⁵ შეადარე. ქვეპუნქტი ა, პუნქტი 1, მუხლი 52, საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს პარლამენტის უწყებები, 24/08/1995, #786.

წინამდებარე კვლევასთან მიმართებით, გვერდს ვერ ავუვლიდით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2023 წლის 18 ოქტომბრის #3/1/1797 დასკვნას, „საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის თაობაზე“.³⁶ საზოგადოდ ცნობილია საქართველოს კონსტიტუციურ ისტორიაში პირველი პრეცედენტი, როდესაც საქართველოს პარლამენტის წევრებმა (სულ 80 წევრი) მიმართეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ, კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან მიმართებით.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ იმპიჩმენტი პოლიტიკური უთანხმოების შედეგად ანგარიშსწორებას წარმოადგენს, კერძოდ, იმპიჩმენტის სამართლებრივი ნაწილი პასუხობს შეკითხვაზე, ფორმალურად დაირღვა თუ არა კონსტიტუცია, ხოლო პოლიტიკური ნაწილით დგინდება დარღვევის შედეგად თანამდებობის დაკარგვის მიზანშეწონილობა.³⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, საქმის არსებითი განხილვის დროს, სადავო დებულებად განსაზღვრულ იქნა ჩანაწერი: „საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში, აწარმოებს

მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან...“³⁸ მითითებული ჩანაწერით ცალსახად დგინდება კონსტიტუციის დარღვევა, ვინაიდან, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე ხორციელდებოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები საგარეო ურთიერთობებში.³⁹

ნიშანდობლივია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძისა და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2023 წლის 16 ოქტომბრის #3/1/1797 დასკვნასთან დაკავშირებით, რომელშიც მოსამართლეები უთითებენ საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტის კონსტიტუციურ მანდატზე, აგრეთვე, საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაზე მთავრობის თანხმობის განმსაზღვრელი კონსტიტუციური დანაწესის არსსა და მიზანზე, სადაც თავადვე აცხადებენ, რომ ფორმალურად მოხდა კონსტიტუციის დარღვევა, შესაბამისად, უდავოა, რომ იმპიჩმენტის სამართლებრივი საფუძველი არსებობდა.⁴⁰

რაც შეეხება იმპიჩმენტის საკითხზე

³⁶ საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) 2023 წლის 16 ოქტომბრის #3/1/1797 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევის საკითხზე.

³⁷ შეადარე. მენაბდე, ვ., 2023. პრეზიდენტის იმპიჩმენტი - რა როლი აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს. იხ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/H6oCQ> [წვდომის თარიღი 20.05.2025].

³⁸ ქვეპუნქტი ა, პუნქტი 1, მუხლი 52, საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს პარლამენტის უწყებები, 24/08/1995, #786.

³⁹ შეადარე. ფაჩოშვილი, კ., 2023. საქართველოს პრეზიდენტის საგარეო კომპეტენციები. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი:1(36).

⁴⁰ შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძისა და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2023 წლის 16 ოქტომბრის #3/1/1797 დასკვნასთან დაკავშირებით.

კონსტიტუციური კონტროლის ეფექტურობის შეფასებით კომპონენტს, საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. საქართველოს პარლამენტში ამ უკანასკნელის წარდგენის შემდგომ, თავად საკანონმდებლო ორგანო არის უფლებამოსილი ან გაითვალისწინოს აღნიშნული დასკვნა, ან არ გაითვალისწინოს. უდავო რეალობას წარმოადგენდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის გათვალისწინების აუცილებლობა, თუმცა, სამწუხაროდ, მითითებული ვერ იქნა აღსრულებული საკანონმდებლო ორგანოში შესაბამისი უმრავლესობის არ არსებობის გამო. მეტიც, საიმპიჩმენტო დასკვნის ვერ აღსრულების შემდგომ, საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ, შესაბამისი წარდგინების განმეორებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაგზავნის მცდელობა იკვეთებოდა, თუმცა მითითებულიცარიქნა განხორციელებული, ვინაიდან, საპარლამენტო უმრავლესობა ვერ შეძლებდა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული შესაბამისი კვორუმის შეკვრას, შემდგომში საიმპიჩმენტო დასკვნის აღსრულების მიზნებისთვის.

ზოგადად, „საგარეო ურთიერთობები საჯარო ურთიერთობების ის სფეროა, სადაც პრეზიდენტს საქართველოს მთავრობის თანხმობა სჭირდება იმისდა მიუხედავად, თუ სად (ქვეყნის შიგნით თუ საზღვრებს გარეთ) და რა ფორმით (სატელეფონო საუბრის განხორციელებისას, დისტანციური მეხვედრის დროს თუ სხვაგვარად) ხორციელდება საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობა.“⁴¹ იმისათვის, რომ კონსტიტუციის შესაბამისად ჩაითვალოს პრეზიდენტის მიერ საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი უფ-

ლებამოსილების განხორციელება, საქართველოს მთავრობის თანხმობა არის აუცილებელი, რომლის პრაქტიკული გამოხატულებაც არის სწორედ საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დანაწესი. შესაბამისად, პრეზიდენტი საგარეო ურთიერთობებში a priori არ არის წარმომადგენელი საკუთარი მანდატის ძალით. კონსტიტუციის სტრუქტურული პრინციპებიც სწორედ აღნიშნულს მიემართება. საქართველოს პრეზიდენტს პოლიტიკური ძალაუფლება არ გააჩნია და, შესაბამისად, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა არ ეკისრება. ერთი მხრივ, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო პარლამენტის სახით და მეორე მხრივ, აღმასრულებელი ხელისუფლება მთავრობის სახით განსაზღვრავენ და ახორციელებენ სახელმწიფო პოლიტიკას საგარეო ურთიერთობებში პრეზიდენტის ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობის განხორციელებაზე პრეზიდენტისთვის ნებართვის მიცემა პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხია და თანხმობის მიუცემლობა არ მოიცავს დასაბუთების ვალდებულებას, ვინაიდან საგარეო პოლიტიკის განხორციელება საქართველოს მთავრობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. მეტიც, საქართველოს მთავრობის ინსტიტუციის კონსტიტუციურ მანდატს წარმოადგენს საგარეო ურთიერთობებში სახელმწიფოს წარმომადგენლობა.

⁴¹ საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) 2023 წლის 16 ოქტომბრის #3/1/1797 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევის საკითხზე.

დასკვნა

საპარლამენტო მმართველობის მოდელში სახელმწიფოს მეთაურის სტატუსი მეტწილად სიმბოლურ ხასიათს ატარებს, რამდენადაც ის არ არის სახელმწიფოს რეალური მმართველი და ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციით დამყარებული საპარლამენტო მმართველობის მოდელში პრეზიდენტი არ მიეკუთვნება ხელისუფლების სამი განშტოებიდან რომელიმეს, არამედ ცალკე განკერძოებული ადგილი უკავია და ხელისუფლების განშტოებებს შორის ასრულებს არბიტრის სიმბოლურ როლს.

საქართველოს პრეზიდენტი პოლიტიკურ ძალაუფლებას არ ფლობს. აგრეთვე, მის ფუნქციას არ წარმოადგენს არც საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, რამდენადაც ეს უკანასკნელი ეკისრება საქართველოს პარლამენტს, ხოლო პოლიტიკის განხორციელება არის საქართველოს მთავრობის ფუნქცია.

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულია სახელისუფლებო ტრიადა, კერძოდ, ხელისუფლების სამწვეროვანი დანაწილება. მოაზრებული კონცეფცია ხელისუფლების სწორედ იმგვარ დანაწილებას გულისხმობს, რომელიც

არცერთ განშტოებას თუ კონსტიტუციურ ორგანოს არ აძლევს შესაძლებლობას, გადააბიჯოს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებს და შეიჭრას სხვა განშტოების უფლებამოსილების არსენალში, მასზედ, რომ შესაბამისი სამართლებრივი პასუხის გარეშე უკონტროლოდ ვერ იმოქმედოს. აღნიშნული სამართლებრივი დანაწესი კი, მხარდაჭერილია შეკავებისა და გაწონასწორების ეფექტიანი კონსტიტუციური საშუალებებით.

წინამდებარე კვლევა ცხადყოფს, რომ საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან განხორციელდა საქართველოს კონსტიტუციური მმართველობის სისტემის საპირისპირო ქმედება, კონსტიტუციის როგორც *de facto*, აგრეთვე, *de jure* დარღვევა, ხოლო პოტენციური დარღვევის პრევენციაზე დარღვევის რეაგირების მექანიზმების დადგენა თავისთავში ქვეყნის თავისუფლების წინასწარი შეზღუდვების (ფარგლების) დადგენას გულისხმობს. აღნიშნული დებულებები კი, როგორც კონსტიტუციის სტრუქტურული პრინციპებიდან, კონსტიტუციის სული-სკვთებიდან, აგრეთვე ცალკეული ნორმებიდან გამომდინარეობს და კონსტიტუციური სამართლებრივი წესრიგისა და მმართველობის სისტემის დაცვას მიემართება.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაბუკი, ვ., ერფრუტი, ჯ. და შტაინროტერი, ბ., 2015. შედარებითი სამართლის მეთოდოლოგიის გამოყენება პრაქტიკაში, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებათა გადანაწილება საქართველოში, საფრანგეთსა და გერმანიაში. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, 8.
2. ბოძაშვილი, ლ., 2010. პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობებში უმაღლესი წარმომადგენლის კომპეტენცია ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით.
3. გვაზავა, გ., 2016. კონსტიტუციის ირგვლივ - პრეზიდენტი რესპუბლიკისა, წიგნში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები.
4. გონაშვილი, ვ., 2017. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი.
5. დემეტრაშვილი, ა., 2011. საქართველოს

- 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია 2011 წლის გადასახედიდან, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი.
6. დემეტრაშვილი, ა., 2013. მმართველობის ახალი სისტემის თავისებურებანი საქართველოში, სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე: საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში.
 7. დემეტრაშვილი, ა. და კობახიძე, ი., 2014. კონსტიტუციური სამართალი. მეორე გამოცემა.
 8. თევდორაშვილი, გ., 2017. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი.
 9. თევდორაშვილი, გ., 2021. რესპუბლიკის ორგანული ფორმის ძიებაში - ასი წელი პირველი ქართული კონსტიტუციის მიღებიდან.
 10. კაველიძე, თ., 2022. სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის კონსტიტუციური სტატუსი საგარეო ურთიერთობათა სფეროში საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციისა და „გარდამავალი პერიოდის“ კვალდაკვალ.
 11. კვერენჩილაძე, გ., 2011. აღმასრულებელი ხელისუფლება და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი.
 12. კობახიძე, ი., 2019. კონსტიტუციური სამართალი. თბილისი.
 13. მაცაბერიძე, მ., 2011. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი.
 14. მელქაძე, ო., 2011. ქართული კონსტიტუციონალიზმი. წიგნი მეორე.
 15. პაპუაშვილი, გ., 2013. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, მე-2 გამოცემა.
 16. ქანთარია, ბ., 2014. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეორე გამოცემა.
 17. ქანთარია, ბ., 2017. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი.
 18. ცნობილაძე, პ., 2004. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტომი I.
 19. ხმალაძე, ვ. და სხვები, 2005. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება ცენტრალურ დონეზე: ბალანსი მის განშტოებათა შორის. საკონსტიტუციოპოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები.
 20. Shugart, M. and Carey, J., 1992. Presidents and Assemblies Constitutional Design and Electoral Dynamics.
 21. European Commission for Democracy through Law (Venice Commission), „Opinion on the Draft Amendments to the Constitution of Georgia“. Adopted by the Venice Commission at its 58th Plenary Session, Venice, 12-13 March 2004.
- ნორმატიული აქტები:**
1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 24/08/1995, #786.
 2. საქართველოს კონსტიტუცია, 21/02/1921. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [წვდომის თარიღი 20.05.2025].
 3. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 30/11/1992. (ძალადაკარგულია).
- სასამართლო პრაქტიკა:**
1. საქართველოს პარლამენტის წევრების 2023 წლის 16 ოქტომბრის #3/1/1797 კონსტიტუციური წარდგინება.
 2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2023 წლის 16 ოქტომბრის #3/1/1797 გადაწყვეტილება.
 3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - ირი-

ნე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძისა და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2023 წლის 16 ოქტომბრის #3/1/1797 დასკვნასთან დაკავშირებით.

ინტერნეტ რესურსები:

1. მენაბდე, ვ., 2023. პრეზიდენტის იმპიჩმენტი - რა როლი აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://shorturl.at/H6oCQ>> [წვდომის თარიღი 20.05.2025].

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Babek, V., Erfrut J. and Steinröter, B., 2015. Application of Comparative Law Methodology in Practice, Distribution of Powers of the President and Prime Minister in Georgia, France and Germany. "Constitutional Law Review", 8. (in Georgian)
2. Bodzashvili, L., 2010. Competence of the President as the Highest Representative of the State in Foreign Relations according to the New Constitutional Amendments. (in Georgian)
3. Demetrashvili, A., 2011. The Constitution of Georgia of February 21, 1921 from the perspective of 2011, at the origins of Georgian constitutionalism - the 90th anniversary of the Constitution of Georgia of 1921. (in Georgian)
4. Demetrashvili, A., 2013. Features of the new system of governance in Georgia, from super-presidential to parliamentary: constitutional amendments in Georgia. (in Georgian)
5. Demetrashvili, A. and Kobakhidze, I., 2014. Constitutional Law. Second edition. (in Georgian)
6. European Commission for Democracy through Law (Venice Commission), "Opinion on the Draft Amendments to the Constitution of Georgia". Adopted by the Venice Commission at its 58th Plenary Session, Venice, 12-13 March 2004. (in English)
7. Gonashvili, V., 2017. Constitutional Law of Georgia. (in Georgian)
8. Gvazava, G., 2016. Around the Constitution - the President of the Republic, in the book: Chronicles of Georgian Constitutionalism. (in Georgian)
9. Kantaria, B., 2014. Constitutional Law of Georgia, Second Edition. (in Georgian)
10. Kantaria, B., 2017. Constitutional Law of Georgia. (In Georgian)
11. Kavelidze, T., 2022. The Constitutional Status of the Head of State and Government in the Sphere of Foreign Relations in the Footsteps of the 1921 Constitution of Georgia and the „Transitional Period“. (in Georgian)
12. Khmaladze and others, 2005. Georgian State Power at the Central Level: Balance between Its Branches. The Process of Constitutional and Political Reform in Georgia: Political Elites and People's Voices. (in Georgian).
13. Kobakhidze, I., 2019. Constitutional Law. (In Georgian)
14. Kverenchkhiladze, G., 2011. The Executive Branch and the 1921 Constitution of Georgia, At the Roots of Georgian Constitutionalism - 90th Anniversary of the 1921 Constitution of Georgia. (in Georgian)
15. Matsaberidze, M., 2011. 90th Anniversary of the 1921 Constitution of Georgia. (in Georgian)
16. Melkadze, O., 2011. Georgian Constitutionalism, Book Two. (in Georgian)
17. Papuashvili, G., 2013. The Constitution of the Democratic Republic of Georgia of

- 1921, 2nd edition. (in Georgian)
18. Shugart, M. and Carey, J., 1992. Presidents and Assemblies Constitutional Design and Electoral Dynamics. (in English)
 19. Tevdorashvili, G., 2017. Constitutional Law of Georgia. (in Georgian)
 20. Tevdorashvili, G., 2021. In Search of the Organic Form of the Republic - One Hundred Years Since the Adoption of the First Georgian Constitution. (in Georgian)
 21. Tsobiladze, P., 2004. Constitutional Law of Georgia. Volume I. (in Georgian)

Normative Materials:

1. Constitution of Georgia. Parliamentary Gazette, 24/08/1995, #786. (in Georgian)
2. Constitution of Georgia, 21/02/1921. [Online] available at:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0>
[Accessed 05.04.2025]. (in Georgian)
3. Law of Georgia "On State Power", Parliamentary Gazette, 30/11/1992, (Repealed). (in Georgian)

Judicial Practice:

1. Constitutional Submission #3/1/1797 of October 16, 2023. (in Georgian)
2. Decision #3/1/1797 of the Plenum of the Constitutional Court of Georgia of October 16, 2023. (in Georgian)
3. Dissenting opinion of judges of the Constitutional Court of Georgia - Irine Imerlishvili, Giorgi Kverenchkhiladze and Teimuraz Tughushi regarding the conclusion #3/1/1797 of the Plenum of the Constitutional Court of Georgia of October 16, 2023. (in Georgian)

Internet Resources:

1. Menabde, V., 2023. Impeachment of the President - What is the Role of the Constitutional Court. [Online] available at: <https://shorturl.at/H6oCQ> [Accessed 05.04.2025]. (in Georgian)